სასჯელის მიზნის მიღწევის სირთულეები პენიტენციურ დაწესებულებაში

ნინო ქიტოშვილი

თბილისის ღია უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის დოქტორანტი, სამართლისა და გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი

ელ.ფოსტა: Ninoqitoshvili@gmail.com

აბსტრაქტი

დანაშაული და სასჯელი კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე წარმოადგენდა საზოგადოების განუყრელ ინსტიტუტებს. სოციალური კონტროლის უზრუნველსაყოფად ადამიანები არასასურველი ქმედების კრიმინალიზაციას ახდენდნენ და ქმნიდნენ ნორმებს, ნორმების დაცვისთვის კი ადგენდნენ სასჯელს, რომელსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ახსნა და მიზანი ჰქონდა. დამნაშავეთა სასჯელის მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია მსჯავრდებული პირებისთვის მოქმედი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამები. თეორიული და პრაქტიკული წინამძღვრები მოწმობს, რომ სასჯელის მიზნის მისაღწევად პროგრამა უნდა იყოს მორგებული დამნაშავის პიროვნებაზე და იმ დანაკლისსა და მოთხოვნილების შევსებაზე, რომელმაც კრიმინალური ქმედების ჩადენაში მნიშნელოვანი როლი ითამაშა. წინამდებარე სამაგიდო კვლევაში გაანალიზებულია საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მოქმედი მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამები,რომლებიც დამნაშავეთა ფსიქო-სოციალური გარემოს კვლევისა და საჭიროებების გათვალისწინების აუცილებლობის მეცნიერულ დასაბუთებას საჭიროებს. სასჯელის სახეს, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთა და კვლევის ფარგლებში განხილულ და გაანალიზებულ იქნა ინფორმაცია სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ განხორციელებული სხვადასხვა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების შესახებ. მონაცემთა ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ არსად გამოუკვლევიათ დამნაშავის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა დაწესებულებაში მოხვედრამდე და პროგრამის დასრულების შემდგომ. პროგრამები არ გულისხმობენ იმ დანაკლისების შევსებაზე ორიენტაციას, რა დანაკლისების შესავსებადაც დამნაშავეებმა ჩაიდინეს დანაშაული. ისინი მხოლოდ, ზოგადად, ანტისოციალური ქცევითი ტენდენციის დაძლევას ისახავენ მიზნად და არ აქვთ კავშირი დამნაშავისთვის რესოციალიზაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის შესაძლებლობის მიცემასთან.

საკვანძო სიტყვები: დამნაშავე, პრევენცია, რესოციალიზაცია

Problems of Achieving The Goal of Punishment in the Penitentiary System

Nino Kitoshvili

Assistant-Professor at School of Humanities and Social Sciences at Tbilisi Open University, P.h.D. student at Faculty of Psychology and Educational Sciences, in Applied Social Psychology at Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Master of Law at University of Georgia, School of Law, Master of Applied Social Psychology at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Social and Political Sciences

Email: Ninogitoshvili@gmail.com

ABSTRACT

Crime and punishment at all stages of human development have been inseparable institutions of society. To ensure social control, people criminalized unwanted actions and created norms, while in order to comply with the norms, they established punishments that had different explanations and purposes at different times. Resocialization-rehabilitation programs for convicts are an important factor in achieving the goal of sentencing offenders. Theoretical and practical guidelines testify that in order to achieve the purpose of punishment, the program must suits directly to the offender's personality and should fill the gaps and needs that have played a significant role in criminal behavior. The present study analyzes the re-socialization-rehabilitation programs of convicts in the Georgian Penitentiary system, which requires scientific substantiation of the need to study the psycho-social environment of offenders and to take into account their needs for creating such programs. Since the form of punishment, in most cases, is deprivation of liberty, the study reviewed and analyzed information about various re-socialization-rehabilitation programs implemented by the Special Penitentiary Service. The analysis of the data revealed that there is no researched the offender's psychosocial status before entering the facility and after the end of the program, the programs do not focus on filling in the gaps for which the offenders committed the crime. They are only, in general, aimed at overcoming the antisocial behavioral tendency and have nothing in common with re-socializing of offender and enabling person to reintegrate into society.

KEYWORDS: Guilty, Prevention, Resocialization

შესავალი

ადამიანის ქმედება მიმართულია: ბიოლოგიური, სოციალური, სულიერი ან ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანებს სურთ კეთილმოწყობილ გარემოში ცხოვრება, პრესტიჟული სამსახური, მრავალფეროვანი დასვენება და ა.შ. თუმცა, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებების შესაძლებლობები სხვადასხვაგვარია და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე[1]: სოციალურ სტატუსზე, საზოგადოებაში მის პოზიციაზე, განათლებაზე, საცხოვრებელ ადგილზე და ა.შ.

სოციალური კლასების არათანაბარი მდგომარეობა განაპირობებს სოციალურ ან ეკონომიკურ უთანასწორობას.შეუთავსებლობა სოციალურ მოთხოვნილებასა და მათი დაკმაყოფილების რეალურ შესაძლებლობას შორის კანონსაწინააღმდეგო ქმედების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტად გვევლინება, როდესაც ინდივიდი ალტერნატიული/უკანონო გზებით ცდილობს სოციალური მოთხოვნილების დაკმაყოფლებას.სოციალიზაცია, რომლის პროცესშიც ადამიანი ითვისებს მისთვის ხელსაყრელ სამოქმედო სქემებს, სხვადასხვანაირად არის გაგებული და მიუხედავად იმისა, თუ რას გულისხმობს ის, ყველა შემთხვევაში მოიაზრებს გარემოს მნიშვნელოვნობას.

სისხლის სამართალი აწესებს გარკვეული ქცევის ფორმებს და ახდენს არასასურველი ქმედების კრიმინალიზაციას, რათა არ მიადგეს ზიანი საზოგადოების დაცულობასა და კეთილდღეობას, ხოლო აკრძალულ ქცევაზე ადგენს სასჯელის შესაბამის ფორმებს. სასჯელს, როგორც დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ საუკეთესო ღონისძიებას, თავის მხრივ აქვს კანონით გათვალისწინებული მიზნები: სამართლიანობის აღდგენა, დანაშაულის პრევენცია და დამნაშავის რესოციალიზაცია[2]. რესოციალიზაცია გულისხმობს: „წარუმატებლად“ სოციალიზირებული პრის დესოციალიზაციის შედეგად ახალ ღირებულება/ხედვით ჩამოყალიბებას, რაც საზოგადოებაში დაბრუნებისას გარემოში ადაპტირებასა და ადეკვატურ ოპერირებაში დაეხმარება. რესოციალიზაცია პიროვნებისთვის ხელახალი საშუალების მიცემასა და საზოგადოების მიერ ხელახლა მიღებას ნიშნავს.

რესოციალიზირებული წევრის(რომელიც დანაშაულის ჩადენის რისკს არ წარმოადგენს) საზოგადოებაში დასაბრუნებლად საჭიროა, შესაბამისი რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პროგრამის დაგეგმვა ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით(გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებითა და კონკრეტული სამიზნე ჯგუფის შერჩევით), რათა თავიდან ავიცილოთ სახელმწიფოს ეკონომიკური და ადამიანური რესურსების უშედეგოდ ხარჯვა[3]. სასჯელის მიზნის მისაღწევად ის უნდა იყოს მორგებული უშუალოდ დამნაშავის პიროვნებაზე, იმ დანაკლისსა და მოთხოვნილების შევსებაზე, რომელმაც მის მიერ კრიმინალური ქმედების ჩადენაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ქვეყნებში, სადაც ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით იკვლიეს დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და მათზე მოარგეს რეაბილიტაციის პროგრამები, რეციდივის

1 გაბუნია, მ., 2010. დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგიური ასპექტები. მართლმსაჯულება და კანონი, #3 (26)'10, გვ. 99-100.

2 მუხლი 39, საქართველოს კანონი სისხლის სამართლის კოდექსი. 22/07/1999. #2287-რს.

3 Taylor, M., 2017. Improving In-Prison Rehabilitation Programs. Legislative Analyst's Office LAO, 2017. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.lao.ca.gov/reports/2017/3720/In-Prison-Rehabilitation-120617.pdf> [წვდომის თარიღი 07 ნოემბერი 2020].

სტატისტიკური მაჩვენებლებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. საქართველოში სასჯელის მიზნის მიღწევადობის კვლევის პროცესში განვიხილეთ დამნაშავეთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამები და ყურადღება გავამახვილეთ მათი შექმნისას დამნაშავეთა ფსიქო-სოციალური გარემოს კვლევის საკითხზე.

სამაგიდო კვლევის პროცესში განხილულ იქნა სასჯელის თეორიები და სასჯელის მიზნები, ასევე სასჯელის მოხდის ფსიქოლოგიური თავისებურებები და რესოციალიზაციის პრაქტიკულად მიმდინარე პროცესი. ვინაიდან დანაშაულის ძირითად სახეობათა სასჯელის სახეს სწორედ თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს[4], კვლევისთვის, ასევე სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან გამოვითხოვეთ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განხორციელებადი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების შესახებ ინფორმაცია.

მოძიებული მასალების გაანალიზებით კვლევა მიზნად ისახავდა დაედგინა:

- ◊ პენიტენციური დაწესებულებების რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პროგრამების ჩამონათვალი;
- ◊ რამდენად არის ეს პროგრამები ემპირიულ კვლევებზე დაფუძნებული;
- ◊ რამდენად ეხმაურებიან ისინი მსჯავრდებულის დანაშაულის გამომწვევი დანაკლისების შევსების აუცილებლობას;
- ◊ პროგრამაში მსჯავრდებულის ჩართვისას რადმენად ხდება მისი დემოგრაფიული; ეკონომიკური; ფსიქოლოგიური; სოციალური მონაცემების გათვალისწინება და –
- ◊ რამდენად ითვალისწინებს პროგრამა სამიზნე ჯგუფის იდენტიფიცირებას.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემით შევეცადეთ, დაგვესაბუთებინა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში დღეისათვის მიმდინარე სარეაბილიტაციო პროგრამებისა და სასჯელის მიზნების შესაბამისობა/შეუსაბამობა.

სასჯელის თეორიები და მიზნები

არსებობს რამდენიმე თეორია, რომელიც სასჯელს საზოგადოების პერსპექტივიდან ხსნის. მათგან: რეტრიბუციული, აბსოლუტური თეორია ხაზს უსვამს საზოგადოების უფლებას, დასაჯოს. ეს გულისხმობს სასჯელს, არა საზოგადოებისთვის ან პიროვნებისთვის სიკეთის მისაღწევად, არამედ, უბრალოდ, საპასუხო რეაქციას დანაშაულზე. ის ორიენტირებულია მხოლოდ წარსულ ქმედებაზე და ვერ უზრუნველყოფს მომავლის კეთილდღეობას. უტილიტარული თეორიის პოზიციით კი, სასჯელი ბოროტია, თუმცა, მიღწეული სარგებლით არის გამართლებადი. თეორიას აქვს პრაგმატული მიზანი და თვლის, რომ სასჯელის დანიშნულებაა საზოგადოებისთვის სასარგებლო შედეგის მოტანა. შესაბამისად, აქცენტი არა დამნაშავის დასჯაზე, არამედ ამ დასჯით საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანაზეა ორიენტირებული. საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანის პრიორიტეტულობამ დამნაშავის დაუსჯელობის დაშვება რომ არ გამოიწვიოს, თანამედროვე სისხლის სამართალში განვითარდა სასჯელის შერეული თეორია, რომელმაც ორი საპირისპირო შეხედულების შერწყმა მოახერხა და სასჯელი დაასაბუთა, ერთი მხრივ, მისი საზოგადო საჭიროებითა და მეორე მხრივ, მხოლოდ დამნაშავისათვის შეფარდების

4 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika> [წვდომის თარიღი 05 ნოემბერი 2020].

აუცილებლობით. ეს თეორია ორიენტირებულია, როგორც წარსული ქმედებისთვის დასჯაზე, ისე მომავლის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე, რასაც სამართლიანობის აღდგენითა და დანაშაულის პრევენციით უზრუნველყოფს. ამ თეორიას იზიარებს ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსიც და დანაშაულზე საპასუხო სასჯელის მიზნებად განსაზღვრული გვაქვს: სამართლიანობის აღდგენა, დანაშაულის პრევენცია და დამნაშავის რესოციალიზაცია[5].

პიროვნებისა და საზოგადოების, წარსულისა და მომავლის ფოკუსი განაპირობებს სასჯელის მიზნებსა და იმ ორიენტირს, რისთვისაც სასჯელის შეფარდება არის გამართლებული. მაგ: სასჯელის სამართლიანობის აღდგენის მიზანი, აბსოლუტური თეორიის მსგავსად, მხოლოდ წარსულ ქმედებაზე საპასუხო რეაქციას გულისხმობს და ხაზს უსვამს კანონისა და საზოგადო ნორმის უზენაესობასა და მათი დაცვის აუცილებლობას. დანაშაულის პრევენცია სასჯელს შედარებით ფართო რაკურსში ხედავს და მისი დაკისრების მიზნად ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას სახავს, რომელიც წარსულზე ფოკუსირებიდან საზოგადოების სამომავლო დაცულობაზე ინაცვლებს და ამით უფრო ჰუმანური და თანამედროვე საზოგადოებისთვის მეტად მისაღები ხდება.

დაბოლოს, სასჯელის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანი აჯამებს სამართლიანობის აღდგენასა და პრევენციას, რამეთუ გულისხმობს, არა რესოციალიზირებული პირის საზოგადოებაში რეაბილიტირებულ-რესოციალიზირებულ წევრად დაბრუნებას, რითაც კანონის დაცვას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და შედეგად საზოგადოების დაცულობას უზრუნველყოფს.

თავისუფლების აღკვეთის ფსიქოლოგიური ასპექტები

ადამიანების უმეტესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ სხვისთვის ზიანისა და/ან ტკივილის მიყენება არის ცუდი. თუმცა, სასჯელი თავის არსში, სწორედ, ტკივილის მიყენებას მოიაზრებს, რასაც ამართლებს სხვადასხვა პოზიცია: პირველი შეხედულების მომხრეები თვლიან, რომ ტკივილის მიყენება ზოგადად და ტკივილის მიყენება კონკრეტულად დამნაშავისადმი, განსხვავებულია, რომელთაგანაც დამნაშავისათვის ტკივილის მიყენება არ არის ცუდი (რაღაც არასწორი). მოსაზრება, რომ დამნაშავე იმსახურებს სასჯელს, ცნობილია, როგორც სადამსჯელო მიდგომა. მეორე შეხედულება კი, რომლებიც სასჯელს ყველა ადამიანთან მიმართებაში ახასიათებს, როგორც უარყოფითს, გარდა შემთხვევებისა, როდესაც სასჯელს უფრო დიდი სიკეთის დაცვა არ მოჰყვა შედეგად, მოიხსენიება, როგორც (უტილიტარული) გამოყენებითი.

სასჯელის მიზნის შესაბამისად სასამართლო იყენებს სხვადასხვა სასჯელს, რომელთაგან ყველაზე მკაცრი არის თავისუფლების აღკვეთა. ვინაიდან, სასჯელი წარმოადგენს ბუნებრივ საპასუხო რეაქციას შიშსა და ზიანზე. ციხე ამ შემთხვევაში გვევლინება გამორჩეულ სასჯელად. სასჯელის სახედ – თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრის შემთხვევაში, მსჯავრდებული თავსდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დაკისრებული სასჯელის მიზნის მიღწევა, რესოციალიზაცია. პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულ/მსჯავრდებულის მიღებისას პირი (ნასამართლეობის არ მქონე) პირველად ეხება საპატიმრო ადგილს, გადის კანონით განსაზღვრულ პროცედურებს და კისრულობს ვალდებულებებს, დაიცვას ისინი. სისტემაში პირველად მოხვედრა მის მოწყვლადობასა და ღირსების დაცვის სა-

5 მუხლი 39, საქართველოს კანონი სისხლის სამართლის კოდექსი. 22/07/1999. #2287-რს.

ჭიროებას უსვამს ხაზს. ამის უზრუნველყოფის ვალდებულებას ციხის თანამშრომლები კისრულობენ, რათა უზრუნველყონ პატიმრების დაცულობა და ხელი შეუწყონ მათ კანონით გათვლისწინებულ, ბიო-ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობას.

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიან წარმართვაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ გარემოს, თანამშრომლების დამოკიდებულებას და იქ შესახლებულ პირთა ყოველდღიურ განრიგსა და მათ სოციალურ აღქმას. ამას მოწმობს პატიმრებთან ჩატარებული ინტერვიუს ანალიზის შედეგებიც, სადაც თავისუფლებააღკვეთილი პირები მძიმედ განიცდიან იზოლაციას და იმას, რომ ციხეში ყოფნის გამო მათ „ადამიანებად არ თვლიან". მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარდა, რეაბილიტაციისთვის საჭიროებენ ფსიქოლოგიურ და სოციალურ მხარდაჭერას: მიიღონ განათლება და გაუჩნდეთ დასაქმების შანსი[6]. როგორც ვხედავთ, მიუხედავად კანონით გათვალისწინებული უფლებრივი გარანტიებისა, პატიმრები აწყდებიან სხვადასხვა გამოწვევას, რომელიც მათი გათავისუფლებისას საზოგადოებაში პროდუქტიულ წევრებად დაბრუნების შესაძლებლობებზე მოქმედებს.

დადასტურებულია, რომ პენიტენციური დაწესებულება გავლენას ახდენს ფსიქიკურ და სოციალურ ჯანმრთელობაზე, რაც ხშირ შემთხვევაში ქმნის დისკომფორტს, რადგან პატიმრებს უწევთ ცხოვრება იმ გარემოში, რომელშიც უსაფრთხოდ არ გრძნობენ თავს. ამ დროს სოციალური ურთიერთობები იძენს უდიდეს ფსიქოლოგიურ დანიშნულებას და მათი არარსებობა კი ზრდის ფსიქიკური პრობლემების წარმოშობის რისკს. ამ დროს ადამიანი აღარ გრძნობს თავს საზოგადოების პროდუქტიულ წევრად, მისი იდენტობა გაუფასურებულია, მას არ ჰყავს გვერდში საყვარელი ადამიანები, ფიზიკური გარემო კი საკმაოდ სტრესულია[7]. გარემოს არსებული სტრესულობა და სპეციფიურობა საჭიროებს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის პროცესში მონაწილე მუშაკების მეტ ძალისხმევასა და ჩართულობას.

მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის გასაუმჯობესებლად იუსტიციის მინისტრის ბრძანება #502-ით დამტკიცდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიური სერვისები. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებულ პირთა რისკების მართვა და რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროცესში ჩართულ სპეციალისტთა ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველოფა. დადგენილია ფორმა, რომლის მიხედვითაც ფასდება დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკი. იმ შემთხვევაში თუ მსჯავრდებულის საქმე საჭიროებს კომპლექსური ფაქტორების შეფასებას, საქმე გადაეცემა სოციალურ მუშაკს და შემთხვევის სამართავად იქმნება მულტიდისციპლინარული გუნდი. მულტიდისციპლინარულ გუნდში შედიან: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და სხვა თანამშრომლები. პირველად გროვდება ინფორმაცია მსჯავრდებულის შესახებ, შემდგომ ფასდება მისი საჭიროებები და განიხილება რისკები, ეს ყველაფერი კი ისახება ქულებში. ფსიქოლოგის მიერ მიწოდებული მომსა-

6 ხასია, მ., 2006. მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები. თბილისი: გვ. 26-27.

7 American Psychological Association, 2014. Incarceration Nation. Vol 45 (9). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.apa.org/monitor/2014/10/incarceration> [წვდომის თარიღი 1 დეკემბერი 2020].

ხურება ეყრდნობა შემთხვევის მართვის პროცესში მსჯავრდებულის შეფასების შედეგებს, სადაც ფსიქოლოგი სოციალურ მუშაკთან ერთად განიხილავს სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას (განსაზღვრავს სხვადასხვა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამებს), ეყრდნობა მსჯავრდებულის საჭიროებებს და ხელს უწყობს მის რეაბილიტაციასა და განმეორებითი დანაშაულის ჩადების ალბათობის შემცირებას. აღსანიშნავია ისიც, რომ გეგმა განიხილება მსჯავრდებულთან ერთად და ხორციელდება მისი თანხმობით.

რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი

საქართველო დემოკრატიის გზაზე მყოფი ახალგაზრდა ქვეყანაა, რომლისთვისაც ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვა პრიორიტეტულია. რადგანაც რესოციალიზაცია დამნაშავის კანონით გათვალისწინებული უფლებაა, მის აღსრულებას სახელმწიფო იღებს საკუთარ თავზე და სასჯელის აღსრულების ახლებურ ხედვას გვთავაზობს.

სოციალიზაცია, როგორც უკვე აღინიშნა, გულისხმობს გარკვეული ღირებულებების შეძენის მიზანმიმართულ და სხვადასხვა (პიროვნების ჩამოყალიბებაზე მოქმედი პროცესების საშუალებებით) პირის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ქცევას[8]. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ითვლება, რომ დამნაშავემ წარუმატებლად გაიარა სოციალიზაციის პროცესი, რა დროსაც ვერ მოახერხა საზოგადოებაში არსებული ღირებულებების სრულყოფილად ათვისება. დანაშაულზე საპასუხოდ საზოგადოება მას უფარდებს სასჯელს და სასჯელის უმთავრეს მიზნად, მისთვის მეორე შანსის მიცემის განზრახვით, სთავაზობს რესოციალიზაციას-რეაბილიტაციას. რესოციალიზაცია ეს არის ტრანსფორმაციის პროცესი, რა დროსაც დამნაშავეს ნორმის დაცვის შეგნება უყალიბდება და ეს მას ეხმარება საზოგადოებაში ინტეგრაციაში. რეაბილიტაცია კი კონკრეტული პროგრამების დახმარებით, კონკრეტული შედეგების მიღებაზეა ორიენტირებული. სხვადასხვა ქვეყნის სამართლის სისტემა სხვადასხვა ტერმინს იყენებს, თუმცა ყველა მათგანი თანხმდება მათ საერთო მიზანზე, იზრუნონ დამნაშავის საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნებაზე. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში რესოციალიზაცია რთული პროცესია და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. როდესაც საქმე ეხება თავისუფლებააღკვეთილ პირს, რესოციალიზაციის პროცესში ჩართულია ციხის ყველა თანამშრომელი და მიდგომების შემუშავება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დანაშაულის ჩადენის მიზეზების და დამნაშავის ფსიქო-სოციალური მდგომარეობის კვლევის შედეგებზე. აუცილებელია იდენტიფიცირდეს დანაშაულის მიზეზი, მოთხოვნილება, რისი დაკმაყოფილებაც ადამიანმა ვერ შეძლო კანონიერი გზით. დანაშაულის ჩადენაში მოქმედი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილების იდენტიფიცირება იძლევა საშუალებას რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია დაიგეგმოს მიზანმიმართულად, სწორედ აღნიშნული მოთხოვნილების შეცვლასა და/ან მისი დაკმაყოფილების კანონიერი გზების გამომუშავების მიზნით. ეს შეიძლება იყოს ფორმალური და პროფესიული განათლება, სპეციალური უნარებით აღჭურვა, პრობლემასთან გამკლავების გზების სწავლა და სხვ.

რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესის წარმმართველ რგოლს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები წარმოადგენენ, შესაბამისად, მათი არასაკმარისი რაოდენობა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის განხორციელების პროცესის

8 ვიტბეკი, ბ., 2009. სოციალიზაციის თეორია: ყველაფერი იწყება ოჯახით. გამოქვეყნებულია ონლაინ 03/07/2009.

ეფექტიანობას აყენებს რისკ-ქვეშ.გარდა ამისა, სერვისების დეფიციტზე მიუთითებს. საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განხორციელებულმა ფსიქო-სოციალური სერვისების კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აღნიშნული სერვისები კონცენტრირებულია მხოლოდ რამდენიმე პენიტენციურ დაწესებულებაში და ვერ მოიცავს პატიმართა პოპულაციის მნიშვნელოვან ნაწილს. ასევე, არ არის ჩამოყალიბებული სერვისების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და ხარისხის კონტროლი არაერთგვაროვანია; არ არის გამართული ინფრასტრუქტურა და ბენეფიციარებს აქვთ პროგრამებში ჩართულობის დაბალი მოტივაცია. ეს ყოველივე ამცირებს რეაბილიტაციის ეფექტიანობას და საჭიროებს ცვლილებებს, როგორც სერვისის მიმწოდებელი ადამიანური რესურსების გაზრდის, ისე საჭიროებებზე დაფუძნებული სერვისების შემუშავების კუთხით[9]. მსჯავრდებულთა საჭიროებებზე დაფუძნებული რესოციალიზაციის ღონისძიებების საჭიროება ჯერ კიდევ 2011 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებით დადასტურდა. კვლევაში მსჯავრდებულებმა გაუსვეს ხაზი, რომ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებისას აუცილებელია მსჯავრდებულთა საჭიროების შესწავლა, მათთვის მინიმალური უნარ-ჩვევების შეძენა, ფსიქო – სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობის გაზრდა და გათავისუფლების შემდგომ, დასაქმების ხელშეწყობა[10], თავისუფლების აღკვეთის პროცესში პროფესიულ განათლებასა და დასაქმების ხელშეწყობის რეაბილიტაციურ ეფექტზე საუბარია სხვა კვლევებშიც. რამეთუ, მსგავსი პროგრამები მსჯავრდებულს მისცემს შესაძლებლობას, რეაბილიტირდეს, აღიჭურვოს იმ უნარებით, რომლებიც მას აკლდა საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად ინტეგრაციისთვის და ამით, შემცირდეს ხელახალი დანაშაულის ჩადენის რისკი[11].

როგორც ვნახეთ, კვლევებით დგინდება, რომ დანაშაულის პრევენციაში, მისი ხელახლა ჩადენის თავიდან ასაცილებლად, მნიშნელოვანია ეფექტური რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი. რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში კი ეფექტიანობით გამოირჩევიან ის პროგრამები, რომლებიც ფოკუსირებულია მომავალზე, განზრახვა აქვს პოზიტიური, ჰუმანური; ითვალისწინებს წარსულ გამოცდილებას,საჭიროებებს; იძლევა სხვა შანსს და წარსული ქმედების გამო არ აკარგვინებს დამნაშავეს მომავალს.

პენიტენციური დაწესებულების რესოციალიზაცია/ რეაბილიტაციის პროგრამები

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების ანალიზისთვის მივმართეთ ოფიციალური წერილით სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სადაც ვითხოვდით გადმოეცათ საჯარო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სარეაბილიტაციო-რესოციალიზაციის პროგრამები ხორცი-

9 ქელბაქიანი, ა., 2018. ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის. ევროკავშირის მხარდაჭერით,ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის – „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით ფარგლებში." გვ. 6-7.

10 GCRT – წამების მსხვერპლთა ფსიქოლოგიური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი, 2011. მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების კვლევა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის ანგარიში. თბილისი: გვ. 52.

11 ვარძელაშვილი, ი., 2016. სასჯელის მიზნები. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი: გვ. 102-103.

ელდება ამჟამად, არიან თუ არა ისინი ემპირიულ საფუძველზე შექმნილი და არის თუ არა ნაკვლევი მათი ეფექტურობა. მიღებული საჯარო ინფორმაციის[12] შესაბამისად, იდეტიფიცირდა პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე 16 ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა და 8 ფსიქო-სოციალური (მოკლევადიანი) ტრენინგი.

ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამებია:

- **ბიბლიოთერაპიის პროგრამა**[13] გულისხმობს თერაპიულ ზეგავლენას, როდესაც ლიტერატურა და პოეზია ემოციური და მენტალური პრობლემების გადაჭრაში ეხმარება ადამიანს. აღნიშნულ მოდულში ხაზგასმულია არტ-თერაპიის ძლიერი მხარეები, მიზნის მისაღწევი გზები;
- **არტ-თერაპია**[14] წარმოადგენს ჯგუფური თერაპიის კიდევ ერთ სახეს, რომელიც მიზნად ისახავს პირის მიერ გამოსახატავი ემოციის, განცდების კონსტრუქციულ კალაპოტში ჩასმას;
- **გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის**[15] მიზანია ჯგუფური ინტერვენციის მეშვეობით პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის ერთ-ერთი ყველაზე სტრესული ფაზის – განთავისფლების წინა ეტაპის ღირსებული დაძლევა; ფსიქო განათლება; რისკებისა და დამცავი ფაქტორების გაანალიზება, ახალ გარემოსთან წინასწარი ადაპტაცია; ოჯახსა და საზოგადოებაში; ინტეგრირებისათვის მზადება სრულწლოვანი და არასრულწლოვანი (ქალი, მამაკაცი) მსჯავრდებულებისთვის;
- **ნაბიჯი ცვლილებისკენ** – დანაშაულის გაცნობიერება[16] მიზნად ისახავს მსჯავრდებულის შინაგან ცვლილებებზე მუშაობას, რაც მას დაეხმარება კრიმინალურობის, დეტერმინანტების გაცნობიერებასა და გათავისუფლებისთვის მზადებაში;
- **პენიტენციური სტრესის მართვა**[17] – მიზნად ისახავს პატიმრობისა და მისით გამოწვეული სტრესის სტაბილიზაცია/ შემცირებას. მასში იდენტიფიცირებულია პატიმრობის, ძალადობის და წამების შედეგების სიმპტომატიკა და მათთან მუშაობისას მიზნის მისაღწევი, „უსაფრთხოების“ დონეები. პროგრამა წარმოადგენს სატრენინგო მოდულს;
- **კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება**[18] – მიზნად ისახავს სამომავლო დანაშაულებრივი ქცევის ალბათობის შემცირებას; განკუთვნილია დამნაშავეებზე, რომელთაც აქვთ დანაშაულის საშუალო ან დაბალი ჩადენის რისკი; აკონკრეტებს მოდულის ჩატარების ხანგრძლიოვობას, სესიების რაოდენობას და სასჯელის მოხდის პერიოდს, როდესაც რეკომენდირებულია მსჯავრდებულის პროგრამაში ჩართვა;
- **ადიქტურ პირთა სარეაბილიტაციო პროგრამა**[19]. პროგრამის მიზანია ადიქციის დაძლევა, ხანგრძლივი რემისიის შენარჩუნება სრულწლო-

12 № 01/302383 წერილზე პასუხი №329977/01, სპეციალური პენიტენციური სამსახური, 2019.
13 იქვე. გვ. 1.
14 იქვე. გვ. 2.
15 იქვე.
16 იქვე. გვ. 3.
17 იქვე.
18 № 01/302383 წერილზე პასუხი №329977/01, სპეციალური პენიტენციური სამსახური, 2019, გვ. 4.
19 იქვე.

ვანი (ქალი, მამაკაცი) მსჯავრდებულებისთვის, რომელთათვისაც: – ალკოჰოლს/ნარკოტიკს ჰქონდა შესამჩნევი საზიანო გავლენა მათი ცხოვრების წესზე უახლოეს წარსულში; მსჯავრდებული ხდება აგრესიული ალკოჰოლის/ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ; მსჯავრდებული დანაშაულს სჩადის ალკოჰოლის/ნარკოტიკის მოსაპოვებლად;

◊ **ატლანტისი** – ალკო/ნარკოდამოკიდებულ პირთა სარეაბილიტაციო პროგრამა[20], პროგრამა ალკოჰოლურ – ნარკოტიკულ ან სხვა ფსიქო-აქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულებების მქონე ბენეფიციართა რეაბილიტაციის თერაპიული მოდელია;

◊ **EQUIP** (დანაშაულის გაცნობიერება, ანტისოციალური ქცევა, არასრულწლოვნები)[21]. პროგრამის მიზანია სოციალური უნარ-ჩვევების დასწავლა/განვითარება; მორალური და სოციალური გადაწყვეტილების მიღების დასწავლა; ბრაზის მართვა. პროგრამაში ერთვებიან ის არასრულწლოვანი მსჯავრდებულები, რომლებსაც არ აქვთ დანაშაული გაცნობიერებული, ასევე რომელიც გამოირჩევა ანტისოციალური ქცევით;

◊ **ბრაზის მართვა**[22] – სატრენინგო მოდულის მიზანია, ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ემოციების მართვის საჭიროება, გამოუმუშავდეთ კრიტიკულ სიტუაციაში ემოციების მართვის, მიზეზებზე დაფიქრების და შედეგების წინასწარ განჭვრეტის უნარი;

◊ **პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება**[23] – პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ბენეფიციარებში თვითკონტროლის, თვითრეფლექსიის, ინტერპერსონალური ურთიერთობების განვითარებას. განკუთვნილია მსჯავრდებულებისთვის, რომლებიც არ არიან ღია სოციალური ურთიერთობებისთვის; ურთიერთობები მეუღლესთან და/ ან პარტნიორთან არ არის კარგი; აქვს/ ჰქონდა ურთიერთობა ანტი-სოციალური ქცევის მქონე პირებთან/აქვს კრიმინალის მიმართ მიმღებლობა;

◊ **სასარგებლო უნარების განვითარება** – პატიმრობის მავნე შედეგები[24]; პროგრამის მიზანია ძალადობის მავნე შედეგები, მოვლა და სტაბილიზაცია;სტრესული სიტუაციების გააზრება და მართვის/გამკლავების უნარების სწავლა-გავარჯიშება მათთვის, ვისაც ჰქონდა რთული ბავშვობა; განიცდიდა ფიზიკურ ძალადობას პარტნიორისგან ან ოჯახისგან;

◊ **ოჯახურ სირთულეებთან გამკლავების პროგრამა** (მსხვერპლი ქალებისათვის)[25]. პროგრამის მიზანია ინფორმირებულობის ზრდა ოჯახში და გენდერული ძალადობის შესახებ ქალ მსჯავრდებულებთან, რომელთაც ჰქონდათ რთული ბავშვობა; განიცდიდნენ ფიზიკურ ძალადობას პარტნიორისგან ან ოჯახისგან;

◊ **პოზიტიური ქცევის როლი ოჯახურ**

20 იქვე. გვ. 5. პროგრამის შესახებ უფრო ვრცლად ასევე იხ. მუხლი. 2. ბრძანება N161, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 31/12/ 2014.
21 იქვე.
22 იქვე. გვ. 6.
23 იქვე.
24 № 01/302383 წერილზე პასუხი №329977/01, სპეციალური პენიტენციური სამსახური, 2019. გვ. 6.
25 იქვე. გვ. 7.

ურთიერთობებში.[26] პროგრამის მიზანია ოჯახური და გენდერული ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლება კაც მსჯავრდებულებთან, რომელთაც ჰქონდა რთული ბავშვობა; იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი, აკეთებდნენ იმას, რაც პირველად მოუვიდოდათ თავში; სოციალურად იზოლირებულია;

- **მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამა**[27]. პროგრამის მიზანია ემოციების მართვის უნარისა თუ ემპათიის გრძნობის გამომუშავება ძალადობის მსხვერპლის მიმართ;პარტნიორულ ურთიერთობებში თანასწორობასა და პატივისცემაზე დამყარებული ქცევითი ნორმების განვითარება მსჯავრდებული მამაკაცებისთვის;
- **ძალადობის მსხვერპლი ქალების სარეაბილიტაციო პროგრამა**[28]. პროგრამის მიზანია ცვლილების მოტივაციის ხელშეწყობა; ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება;საკუთარი თავის უკეთ შეცნობა; სოციალური უნარების განვითარება; საკუთარ ძალებში რწმენა, რომლებიც განკუთვნილია იმ ქალ მსჯავრდებულებისთვის, ვისაც განუცდიათ ოჯახში ძალადობა.

პენიტენციურ დაწესებულებებში ასევე ტარდება ფსიქო-სოციალური ტრენინგები თემაზე: ცხოვრების ჯანსაღი წესი; ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებები; ტრეფიკინგი; ტუბერკულოზი; აივ ინფექცია და შიდსი; B და C ჰეპატიტი; სტიგმა და დისკრიმინაცია; რეპროდუქციული ჯანმრთელობა. მათი მიზანია მსჯავრდებულებისთვის პრევენციული ხასიათის ინფორმაციის მიწოდება. შესაბამისად, მათში ჩართვის წინაპირობა განსაზღვრული არ არის და ყველა მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომია მათი სურვილის შესაბამისად.

პროგრამების შესწავლის საფუძველზე დადგინდა,რომ ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამების შედეგების ეფექტიანობის კვლევა არ განხორციელებულა[29].

დასკვნა

ნაშრომის მიზანი იყო დაედგინა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში დღეისათვის მიმდინარე სარეაბილიტაციო პროგრამებისა და სასჯელის მიზნების შესაბამისობა/შეუსაბამობა. ამისათვის განვიხილეთ შესაბამისი თეორიული წინამძღვრები და სამაგიდო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მოქმედი რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პროგრამები. ყურადღება მიექცა ცალკეულ საკითხებს და შედეგად აღმოჩნდა, რომ:

- ბოლო წლების პერიოდში რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პროგრამები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება;
- მათ შორის ემპირიაზე დაყრდნობილი პროგრამების რაოდენობა უცნობია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს დასკვნა წარმოადგენს ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგს და შესაძლოა არ ასახავდეს რეალობას;
- პროგრამები მორგებულია მსჯავრდებულთა აქტუალურ პრობლემებზე, თუმცა, ეს საჭიროებები ნაკვლევია აწმყო დროში და არ გულისხმობს წარსული გარემოებების (რომელსაც შესაძლოა, მათ მიერ დანაშაულის

26 იქვე.
27 იქვე. გვ. 8.
28 იქვე.
29 იქვე. გვ. 8.

ჩადენაში ეთამაშა როლი) გათვალისწინებას;

- ◊ შესაბამისად, პროგრამებში ჩართვისას არ არის გათვალისწინებული რიგი ფსიქო-სოციალური გარემოება;
- ◊ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი გათვლილია კონკრეტულ სამიზნე ჯგუფზე. ეს იდენტიფიცირებული სამიზნე ჯგუფის საჭიროებები არის მორგებული მხოლოდ კრიზისის მართვის პრინციპზე და არა დანაშაულის განმაპირობებელი ფაქტორების აღმოფხვრასა და ამით, დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის განმაპირობებელი ფაქტორების გაუთვალისწინებლად დაგეგმილი სარეაბილიტაციო პროგრამები არ არიან ორიენტირებულნი კრიმინალურობის გამომწვევი მიზეზებისა და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, ნაკლები კავშირი აქვთ დამნაშავისთვის საზოგადოებაში რეინტეგრაციის შესაძლებლობის მიცემასთან. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გათავისუფლებული არარესოციალიზირებული ადამიანი კი დანაშაულის ჩადენის რისკს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ხარჯავს რესურსს მისთვის სერვისების მიწოდებაზე. რამეთუ, რაც არ უნდა გავაცნობიერებინოთ პირს განხორციელებული ქმედების სიავე და რამდენადაც არ უნდა ჰქონდეს მას სამომავლოდ კრიმინალური ქმედებისგან დისტანცირება გადაწყვეტილი, თუ მისი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობები გათავისუფლების შემდგომ უცვლელი დარჩა, ის დიდი ალბათობით, მათ დასაკმაყოფილებლად კვლავ მიმართავს დასწავლილ, ნაცნობ, დელიკვენტურ ხერხებს.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბუნია, მ., 2010. დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგიური ასპექტები. მართლმსაჯულება და კანონი, #3(26)'10.
2. ლეკვეიშვილი, მ., 2014. სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები. მართლმსაჯულება და კანონი #4(43)'14.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika> [წვდომის თარიღი 05 ნოემბერი 2020].
4. ქათამაძე, მ., 2004. სასჯელის მიზნები სისხლისსამართლის კანონმდებლობაში. ალმახანი, 3, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASH010e390658552dd08aa077b6.6> [წვდომის თარიღი 30 ოქტომბერი 2020].
5. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., ხასია, მ., 2014. სასჯელაღსრულების სამართალი. იურისტების სამყარო, თბილისი.
6. Hallevy, G., 2013. The Right to Be Punished. Heidelberg, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.springer.com/gp/book/9783642323874> [წვდომის თარიღი 15 ოქტომბერი 2020].
7. Harris, J. R., 1995. Where is the Child's Environment? A Group Socialization Theory of Development. American Psychological Association/Journal, Psychological Review July 1995, Vol. 102, 3.
8. House of Commons Home Affairs Committee, 2005.Rehabilitation ofPrisoners – First Report of Session 2004–05. London: The Stationery Office Limited.
9. Kaufman, W. R. P., 2013. Honor and Revenge: A Theory of Punishment. Springer

Science+Business Media Dordrecht, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.springer.com/gp/book/9789400748446> [წვდომის თარიღი 15 ოქტომბერი 2020].

10. Keiler, J., Panzavolta, M., Roef, D., Hage, J. and Akkermans, B., 2014. Introduction To Law. Springer International Publishing Seitzerland.
11. Manzoni, P., Brochu, S., Fisher, B. and Rehm, J., 2007. Determinants of property crime among illicit opiate users outside of treatment across Canada. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.researchgate.net/publication/225092015_Determinants_of_Property_Crime_Among_Illicit_Opiate_Users_Outside_of_Treatment_Across_Canada> [წვდომის თარიღი 01 ნოემბერი 2020].
12. Pollock, J., 2005. The Rationale for Imprisonment, The Philosophy and History of Prisons. Texas State University – San Marcos, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://samples.jbpub.com/9781284020212/15963_CH01_Pass3.pdf> [წვდომის თარიღი 07 ნოემბერი 2020].
13. Penal Reform International, 2019. The Meaning of Rehabilitation-Resocialization and its Regulation Based on National and International Standards. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.penalreform.org/blog/the-meaning-of-rehabilitation-resocialization-and-its-regulation/> [წვდომის თარიღი 01 დეკემბერი 2020].
14. The Big Lottery Fund, 2013. Learning from Projects Working With Ex-offenders. Glasgow, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <file:///C:/Users/user/Downloads/Report.pdf> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].
15. Zelezny, L. C., Chua, P., Aldrich, Ch., 2000. Elaborating Gender Differences in Environmentalism. Journal of Social Issues, Vol. 56, 3.

ნორმატიული მასალა:

1. სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესი (შემთხვევის მართვის წესი), საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება. 12/03/2020. #502.
2. საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი. 09/03/2010. #2696 – Ის.
3. საქართველოს კანონი სისხლის სამართლის კოდექსი. 22/07/1999. #2287-რს.

Bibliography:

Used literature:

1. Gabunia, M., 2010. Crime causes criminological aspects. Justice and Law, #3(26)'10. (in Georgian)
2. Lekveishvili, M., 2014. Purposes of Sentence and Legal and Criminological Aspects of Sentencing. Justice and Law#4 (43)'14. (in Georgian)
3. National Statistics Office of Georgia, [Online] Available at: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika> [Accessed 05 November 2020]. (in Georgian)
4. Shalikashvili, M., Mikanadze, G. and Khasia, M., 2014. Penitentiary Law. Tbilisi: World of Lawyers. (in Georgian)
5. Katamadze, M., 2004. Aims of Punishment in Criminal Law. Almakhani, 3. (in Georgian). [Online] Available at: <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASH010e390658552dd08aa077b6.6> [Accessed 30 Octomber 2020]. (in Georgian)
6. Hallevy, G., 2013. The Right to Be Punished, Heidelberg. [Online] Available at: <https://www.springer.com/gp/book/9783642323874> [Accessed 15 Octomber 2020]. (in English)
7. Harris, J. R., 1995. Where is the Child's Environment? A Group Socialization Theory of Development. American Psychological Association/Journal, Psychological Review July 1995, Vol. 102, 3. (in English)
8. House of Commons Home Affairs Committee, 2005. Rehabilitation ofPrisoners – First Report of Session 2004–05.London: The Stationery Office Limited. (in English)

9. Kaufman, W.R.P., 2013. Honor and Revenge: A Theory of Punishment. Springer Science+Business Media Dordrecht. [Online] Available at: <https://www.springer.com/gp/book/9789400748446> [Accessed 15 October 2020]. (in English)
10. Keiler, J., Panzavolta, M., Roef, D., Hage J. and Akkermans, B., 2014. Introduction To Law. Springer International Publishing Seitzerland. (in English)
11. Manzoni, P., Brochu, S., Fisher, B. and Rehm, J., 2007. Determinants of property crime among illicit opiate users outside of treatment across Canada, [Online] Available at: <https://www.researchgate.net/publication/225092015_Determinants_of_Property_Crime_Among_Illicit_Opiate_Users_Outside_of_Treatment_Across_Canada> [Accessed 01 November 2020]. (in English)
12. Pollock, J., 2005. The Rationale for Imprisonment, The Philosophy and History of Prisons. Texas State University – San Marcos. [Online] Available at: <http://samples.jbpub.com/9781284020212/15963_CH01_Pass3.pdf> [Accessed 07 November 2020]. (in English)
13. Penal Reform International, 2019. The Meaning of Rehabilitation-Resocialization and its Regulation Based on National and International Standards. [Online] Available at: <https://www.penalreform.org/blog/the-meaning-of-rehabilitation-resocialization-and-its-regulation/> [Accessed 01 December2020]. (in English)
14. The Big Lottery Fund, 2013. Learning from Projects Working With Ex-offenders. Glasgow, [Online] Available at:<file:///C:/Users/user/Downloads/Report.pdf> [Accessed 20 Octomber 2020]. (in English)
15. Zelezny, L. C., Chua, P. and Aldrich, Ch., 2000. Elaborating Gender Differences in Environmentalism. Journal of Social Issues, Vol. 56, 3. (in English)

Normative material:

1. Georgian Law Code of Imprisonment. 09/03/2010.#2696 – Is. (in Georgian)
2. Georgian Law Criminal Code. 22/07/1999. #2287-rs. (in Georgian)
3. Rules for Risk Assessment and Needs Assessment for Resocialization and Rehabilitation of Adult Convicts and Ex-prisoners, as well as Rules for Preparation, Implementation and Monitoring of an Individual Plan (Case Management Rule). Order of the Minister of Justice of Georgia. 12/03/2020. #502. (in Georgian)

References:

1. Gabunia, M., 2010. Crime causes criminological aspects. Justice and Law, #3(26)'10. (in Georgian)
2. Article 39, Georgian Law Criminal Code, 22/07/1999, #2287-rs. (in Georgian)
3. Taylor, M., 2017. Improving In-Prison Rehabilitation Programs. Legislative Analyst's Office LAO, 2017, [Online] Available at: <https://www.lao.ca.gov/reports/2017/3720/In-Prison-Rehabilitation-120617.pdf> [Accessed 07 November 2020]. (in English)
4. National Statistics Office of Georgia. [Online] Available at: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika> [Accessed 05 November 2020]. (in Georgian)
5. Article 39, Georgian Law Criminal Code, 22/07/1999, #2287-rs. (in Georgian)
6. Khasia, M., 2006. Social Rehabilitation of Convicts in Georgia, Reality and Perspectives. Tbilisi, pp. 26-27. (in Georgian)
7. American Psychological Association, 2014. Incarceration Nation. Vol 45, 9, [Online] Available at: <https://www.apa.org/monitor/2014/10/incarceration> [Accessed 01 December 2020]. (in English)
8. Witbeck, B., 2009. Primary Socialization Theory: It All Begins with the Family. Published online 03/07/2009. (in English)
9. Kelbakiani, A., 2018. Initiative for Rehabilitation of Vulnerable Groups. With the support of the European Union, The South Caucasus Office of the International Prison Reform Office Project – "Promoting and Monitoring Penitentiary and Probation with the involvement of the civil community". pp. 6-7. (in Georgian)
10. GCRT – Center for Psychological and Medical

Rehabilitation of Victims of Torture, 2011. Survey of the needs of convicts and probationers. Quantitative and Qualitative Research Report. Tbilisi: p. 52. (in English)

11. Vardzelashvili, I., 2016. Aims of Punishment. University Publishing House, Tbilisi: pp. 102-103. (in Georgian)
12. № 01/302383 Reply to the letter №329977 / 01, Special Penitentiary Service, 2019. (in English)
13. Ibid. p. 1.
14. Ibid. p. 2.
15. Ibid.
16. Ibid. p. 3.
17. Ibid.
18. Ibid. p. 4.
19. Ibid.
20. Ibid. p. 5.
21. Ibid.
22. Ibid. p. 6.
23. Ibid.
24. Ibid.
25. Ibid. p. 7.
26. Ibid.
27. Ibid. p. 8.
28. Ibid.
29. Ibid.